შპს ბლექ სი

ს/კ

401985606

2023 წლის

ინდივიდუალური მმართველობის ანგარიშგება

2023 წლის ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
ზოგადი ნაწილი

შპს ბლექს სი ს/კ 401985606 დაფუძნდა 08/07/2013 ,კომპანია დღეს გადამხდელია 12 /01/2014 დან ,შპს ბლექ სი მდებარეობს დაფუძნების ადგილია ქ.ზესტაფონი აღმაშენებლის 37
შპს ბლექს სი დამფუძნებელი არის ფიზიკური პირი მურმან მუმლაძე 100%
, კომპანია გათვლილია ძირითადად აუზის მომსახურებაზე აგრეთვე სპორტული დარბაზის და სხვა ფიტნეს მომსახურებაზე
წესდების მიხედვით, საანგარიშგებო წელი გრძელდება 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით.

მომზადების საფუძველი და გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკა

2014 წლის 12 იანვრიდან დაწყებული, კომპანიის ბუღალტრული აღრიცხვა და ფინანსური ანგარიშგება წარმოებს მსს ფასს-ის (ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი მცირე და საშუალო საწარმოებისათვის) მიხედვით. ამასთან, კომპანია წარმოადგენს მესამე კატეგორიის საწარმოს „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს 2016 წლის 8 ივნისის კანონის თანახმად. აღნიშნული კანონიდან გამომდინარე, კომპანიას არ ევალება წლიური ფინანსური ანგარიშგების აუდიტი.

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია საქმიანობის უწყვეტობის და პირვანდელი (ისტორიული) ღირებულების პრინციპის გათვალისწინებით. აღრიცხვაანგარიშგების ფუნდამენტური სააღრიცხვო პრინციპი - დარიცხვის მეთოდი დაცულია. სააღრიცხვო შეფასებები და ძირითადი დაშვებები მუდმივად გადაიხედება. სააღრიცხვო შეფასების ცვლილების აღიარება ხდება იმ პერიოდში, როდესაც ხდება შეფასებების გადახედვა და ასევე შესაბამის მომავალ პერიოდებში

გათვალისწინებულია მსს ფასს-ის ძირითადი დაშვება - ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპი, რაც გულისხმობს, რომ კომპანიის მენეჯმენტი არ გეგმავს და არ მოელის, რომ მინიმუმ უახლოესი ერთი წლის განმავლობაში კომპანია შეწყვეტს ფუნქციონირებას, ან მოხდება მისი საქმიანობის მასშტაბის არსებითი შეზღუდვა. შესაბამისად, კომპანიის 2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ამ დაშვების გათვალისწინებით, რაც გულისხმობს, რომ აქტივების რეალიზაცია/გასვლა და ვალდებულებების დაფარვა ხორციელდება ბიზნესის ჩვეულებრივი მსვლელობისას.

კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი ემთხვევა კალენდარულ წელს (1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე ჩათვლით). 2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, გამოყენებულია ამ თარიღის მდგომარეობით მოქმედი მსს ფასს. კომპანიის მიერ გამოყენებულია შემდეგი სააღრიცხვო პოლიტიკა:

შემოსავლების აღიარება

შემოსავლების აღიარება ხდება საქონლის და მომსახურების გაყიდვიდან ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში მისაღები ან მიღებული თანხის სამართლიანი ღირებულებით, დარიცხვის მეთოდის შესაბამისად. რეალიზებული საქონლის უკან დაბრუნება და ფასდათმობა აღიარებულია შემოსავლის შემცირების გზით, გაყიდვების აღიარებასთან ერთად.ამასთანავე კომპანიას არ უფიქსირდება საეჭვო მოთხოვნები რადგან ძირითადი შემოსავლები შემოდის ავანსის გზით.

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები

ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების ამორტიზებული ღირებულება ყოველი საანგარიშგებო პერიოდისთვის წარმოადგენს შემდეგი სიდიდეების ნეტო

ღირებულებას:

(ა) თანხა, რომლითაც ფინანსური აქტივი ან ფინანსური ვალდებულება შეფასებულია თავდაპირველი აღიარებისას;

(ბ) გამოკლებული ძირი თანხის დასაფარად გადახდილი თანხები;

(გ) მიმატებული ან გამოკლებული დაგროვილი ამორტიზაციის თანხა, რომელიც მიიღება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით თავდაპირველად აღიარებულ და დასაფარ თანხებს შორის განსხვავების მიმართ; და

(დ) გამოკლებული, ფინანსური აქტივის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალის ან უიმედო ვალის შემცირების თანხა (პირდაპირ, ან რეზერვების ანგარიშების გამოყენებით).

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები,

ფინანსური აქტივებს და ვალდებულებებს არ გააჩნია ნომინალური საპროცენტო განაკვეთი, დაკავშირებული არ არის ისეთ შეთანხმებასთან, რომელიც ფინანსურ ოპერაციას წარმოადგენს და კლასიფიცირდება, როგორც მოკლევადიანი აქტივები ან მოკლევადიანი ვალდებულებები, თავდაპირველად შეფასდება არადისკონტირებული ღირებულებით. აქედან გამომდინარე, მათზე არ ვრცელდება ზემოაღნიშნული მოთხოვნა.

ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდი

არის ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების ამორტიზებული ღირებულების გამოთვლისა და საპროცენტო შემოსავლების ან ხარჯების შესაბამის პერიოდზე მიკუთვნების მეთოდი. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის განაკვეთი, რომლის მეშვეობით ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი ვადის ან, როდესაც შესაფერისია, უფრო მოკლე ვადის განმავლობაში მისაღები ან გადასახდელი სავარაუდო ფულადი სახსრები ზუსტად დისკონტირდება ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების წმინდა საბალანსო ღირებულებამდე. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი განაკვეთი განისაზღვრება ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულებაზე დაყრდნობით, რომელიც მას გააჩნია საწყისი აღიარებისას.

გარიგებები უცხოურ ვალუტაში

გარიგებები უცხოურ ვალუტაში კონვერტირდება კომპანიის შესაბამის სამუშაო ვალუტაში ტრანზაქციების განხორციელების დღეს საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი სავალუტო გაცვლითი კურსის მიხედვით. ანგარიშგების თარიღისთვის, უცხოურ ვალუტაში წარმოდგენილი ფულადი აქტივები და ვალდებულებები გადაიყვანება სამუშაო ვალუტაში ამ თარიღისთვის არსებული გაცვლითი კურსის მიხედვით. უცხოურ ვალუტაში წარმოდგენილი არაფულადი მუხლები, რომლებიც დაიანგარიშდება რეალური ღირებულებით, კონვერტირდება სამუშაო ვალუტაში რეალური ღირებულების განსაზღვრის დღისთვის არსებული ვალუტის გაცვლის კურსის მიხედვით. არაფულადი ერთეულები უცხოურ ვალუტაში, რომელიც გამოთვლილია ისტორიული ღირებულების საფუძველზე, გადაყვანილია ტრანზაქციის თარიღისთვის მოქმედი გაცვლითი კურსით. ვალუტის გადაფასებით გამოწვეული სავალუტო საკურსო სხვაობები აისახება პერიოდის მოგებაში ან ზარალში. დასაქმებულ პირთა გასამრჯელოები თანამშრომელ პირთა გასამრჯელოები აღიარდება შესრულებული სამუშაოს საფუძველზე არადისკონტირებული ღირებულებით და შესაბამისად აისახება ხარჯებში. ასანაზღაურებელი თანხა აღიარდება მოკლევადიანი ვალდებულების სახით.

მარაგები

მარაგები აღირიცხება უწყვეტი მეთოდით. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, ისინი შეფასებულია თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. წმინდა სარეალიზაციო ღირებულება არის ბიზნესის ჩვეულებრივ პირობებში საქმიანობისას არსებული აქტივის გასაყიდ ფასს გამოკლებული დანახარჯები, რომლებიც დაკავშირებულია აქტივის გაყიდვასთან. მარაგების ჩამოწერა ხდება სპეციფიკური იდენტიფიკაციის მეთოდის საშუალებით, თუ ეს შესაძლებელი და მიზანშეწონილია, ხოლო სხვა შემთხვევებში - საშუალო ფასთა მეთოდის გამოყენებით.

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფულად სახსრებს და მათ ეკვივალენტებს კომპანიისთვის წარმოადგენს ფული სალაროში და ფული მიმდინარე და სადეპოზიტო საბანკო ანგარიშებზე.

გრძელვადიანი აქტივები

ა) შვილობილ და მეკავშირე საწარმოებში განხორციელებული ინვესტიციების აღრიცხვისათვის გამოიყენება თვითღირებულების მოდელი.

ბ) ძირითადი საშუალებების, საინვესტიციო ქონების და არამატერიალური აქტივების ცვეთისათვის/ამორტიზაციისათვის გამოიყენება ცვეთის/ამორტიზაციის დარიცხვის წრფივი მეთოდი. ამასთან, ცვეთის/ამორტიზაციის დარიცხვა იწყება იმ თვიდან, როდესაც ამორტიზებადი აქტივის გამოყენება დაიწყო, ხოლო იმ თვეში, როდესაც მოხდა ამორტიზებადი აქტივის გასვლა, ცვეთის/ამორტიზაციის დარიცხვა არ ხდება.

გ) ძირითადი საშუალებებისა და საინვესტიციო ქონების ცვეთის დარიცხვა ხდება წრფივი მეთოდით, საბალანსო და ნარჩენ (სალიკვიდაციო) ღირებულებებს შორის სხვაობიდან სასარგებლო სამსახურის ვადის გათვალისწინებით. თუ კონკრეტული ძირითადი საშუალებისთვის ან საინვესტიციო ქონებისთვის ნარჩენი სალიკვიდაციო ღირებულება განსაზღვრული არ არის, ის ჩაითვლება ნულის ტოლად, ხოლო თუ სასარგებლო სამსახურის ვადა არ არის დადგენილი, ცვეთის დარიცხვა ხდება შემდეგი წლიური საპროცენტო განაკვეთების მიხედვით:

შენობა-ნაგებობები - 4%;

ავტოსატრანსპორტო საშუალებები - 12,5%;

მანქანა-დანადგარები - 8-10%;

კომპიუტერული ტექნიკა და აღჭურვილობა - 25%;

ავეჯი და სხვა ინვენტარი - 20-50%;

საოფისე აღჭურვილობა - 20-50%.

დ) იმ არამატერიალური აქტივებისათვის, რომელთაც აქვთ შეზღუდული სასარგებლო მომსახურების ვადა და ეს ვადა განსაზღვრულია, გამოიყენება ამორტიზაციის დარიცხვის წრფივი მეთოდი მათი სასარგებლო სამსახურის ვადის შესაბამისად; იმ არამატერიალური აქტივებისათვის, რომელთაც აქვთ შეზღუდული სასარგებლო მომსახურების ვადა, მაგრამ ეს ვადა ცალსახად განსაზღვრული არ არის, გამოიყენება ამორტიზაციის დარიცხვის წრფივი მეთოდი წლიური საპროცენტო განაკვეთით - 10%.

მენეჯმენტის მოსაზრებით, ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას არ არსებობს კრიტიკული გადაწყვეტილებები, რომელსაც შეუძლია გავლენა იქონიოს ფინანსური ანგარიშგების მუხლებში აღიარებულ თანხებზე და არ არსებობს ვარაუდები და შესაძლო გაურკვევლობები, რომელიც შეიძლება შეიცავდეს არსებითი კორექტირებების მნიშვნელოვან რისკებს მომავალი ფინანსური წლის შედეგებზე

გადასახადები

2016 წელს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი მოგების გადასახადის რეფორმის შესახებ (რომელიც ასევე ცნობილია მოგების გადასახადის „ესტონური მოდელის“ სახელით), რაც ნიშნავს დაბეგვრის მომენტის გადატანას მოგების გამომუშავების თარიღიდან მისი გაცემის თარიღამდე. კანონი ძალაშია საგადასახადო პერიოდებისთვის 2017 წლის 1 იანვრის შემდეგ ყველა იურიდიული პირისთვის, გარდა ფინანსური დაწესებულებებისა (როგორიც არის ბანკები, სადაზღვევო კომპანიები, მიკროსაფინანსო ორგანიზაციები, საკრედიტო კავშირები და დადგენილი წესით რეგისტრირებული სესხის გამცემი სუბიექტები). კომპანიის დაბეგვრა მოგების გადასახადით ხდება „ესტონური მოდელის“ შესაბამისად. ახალი საგადასახადო სისტემიდან გამომდინარე, საქართველოში რეგისტრირებულ კომპანიებს, როგორც წესი, არ წარმოეშვებათ დროებითი სხვაობები კომპანიის საგადასახადო ვალდებულებებსა და მათ საბალანსო ღირებულებებს შორის. შესაბამისად, 2017 წლიდან მათ არ აქვთ გადავადებული საგადასახადო აქტივები და გადავადებული მოგების გადასახადის ვალდებულებები. 2018-2022 წლებში საქართველოში მოგების გადასახადის განაკვეთი 15%-ს შეადგენდა.

საკრედიტო რისკი

კომპანიას აღებული აქვს სესხი სს საქართველოს ბანკიდან და დამფუძნებლისგან მომავალი განვითარების მიზნებისთვის 2021 წლის ბოლოს აღნიშნული სესხის სალდო შეადგენდა 138630 ლარს . სესხითსარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები აღიარდება იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც გაწეული იქნა

წარდგენის ვალუტა და ერთეულის სიზუსტე

საქართველოს ეროვნულ ვალუტას წარმოადგენს ქართული ლარი, რომელიც არის კომპანიის სამუშაო ვალუტა და აგრეთვე ვალუტა, რომელშიც არის წარმოდგენილი კომპანიის ფინანსური ანგარიშგება. ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია 1 (ერთი) ლარის სიზუსტით.

გაცვლითი სავალუტო კურსები

სავალუტო ფულადი მუხლებისათვის გამოყენებულია შემდეგი ოფიციალური გაცვლითი კურსები, დადგენილი საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ: 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით: 1 USD=2.6894 ლარი; 1 EUR=2.9753 ლარი.

კომპანიის სტრატეგიული მიზნები

მომდევნო საანგარიშგებო პერიოდისთვის კომპანია გეგმავს შემდეგი საკითხების შემუშავება /განვითარებას შესრულებას

- 10-15 %- ზრდა საერთო გაყიდვების მოცულობაში,რომლის მიღწევა შესაძლებელია ახალიკლიენტების მოზიდვით

კომპანიის ძირითადი არაფინანსური ინდიკატორები

გარემოზე ზემოქმედება

კომპანია უზრუნველყოფს ნარჩენების მოცილების პროცედურებს თავისივე საშუალებით, შპს მაქსიმალურად ცდილობს უარყოფითი ზემოქმედება არ მოახდინოს გარემოზე, კომპანიას არ მიუღია არცერთი გაფრთხილებაც კი ზემდგომი ორგანოებიდან.

შრომითი უსაფრთხოება

თანამშრომლების რაოდენობა,საშუალოდ შეადგენს 40-50 ს. კომპანიის მიზანია . ჯანდაცვა და უსაფრთხოება - თუ კომპანია თავის თანამშრომლებს უმაღლეს პრიორიტეტს ანიჭებს. პერსონალს უტარდებაპერიოდული ტრენინგი შემდეგ საკითხებზე: ტექნიკური მოწყობილობის ოპერაციები,
შრომის უსაფრთხოების და ხანძრის პრევენციის ზომები, ასევე სწავლობენ პირველადი დახმარების აღმოჩენის საკითხებს. პერსონალი დაიშვება სამუშაო ადგილზე მისი კვალიფიკაციის და უსაფრთხოების ჯგუფის სტატუსის შესაბამისად. კომპანიას აქვს ჯანმრთელობის დაზღვევა კომპანიისგან - „არდი“ - თითოეული თანამშრომლისთვის. შრომის უსაფრთხოების სტანდარტების დაცვის მიზნით, კომპანიამ დანიშნა თავისი თანამშრომელი შრომის უსაფრთხოების ინსპექტორისსახით. 2018 წელს შრომის უსაფრთხოების ინსპექტორმა გაიარატრენინგები “IOSH (სამუშაოებისწარმოებისუსაფრთხოებისუზრუნველყოფისინტეგრირებულისისტემა) უსაფრთხოების მართვა.

კომპანიის ძირითადი ფინანსური ინდიკატორები

კომპანია 2023 წელს გავიდა მოგებაზე 89,926 ლარი რომელიც თავის მხრივ გამოიწვია ,პანდემიის ამოწურვამ და ახალი კონტრაქტების დადებამ , 2024 წელში ველოდებით მოგებაზე გასვლას 100-130 ათას ლარამდე

არსებულირისკებისმართვა

კომპანიისხელმძღვანელობა იღებს ყველა პასუხისმგებლობას კომპანიაში რისკის მართვის სტრუქტურის ზედამხედველობაზე. რისკის მართვის პოლიტიკა სტრუქტუირებულია იმგვარად, რომ დაადგინოს, გაანალიზოს შესაბამისად მინიმუმამდე დაიყვანოს, უზრუნველყოს კონტროლის და შეინარჩუნოს შეზღუდვები კომპანიის მიმდინარე რისკებზე. რისკის მართვის პოლიტიკა და სისტემა განიცდის რეგულარულ მოდიფიკაციებს ბაზრის პირობებთან და კომპანიის საქმიანობების ცვლილებებთან შესაბამისობისთვის. ტრენინგების და მართვის სტანდარტების და პროცედურების გამოყენებით, კომპანიის მიზანია დისციპლინირებული და კონსტრუქციული კონტროლის გარემოს შექმნა, სადაც ყველა თანამშრომელი ინფორმირებულია საკუთარი ადგილის და ვალდებულებების შესახებ სისტემაში. კომპანიის კლიენტების მნიშვნელოვანი ნაწილი მოიცავს მსხვილი და საშუალო ზომის კომპანიებს.

ლიკვიდობის რისკი

მკაცრი კონტროლი დანახარჯებზე, ბიუჯეტის ზედამხედველობა, როდესაც ხარჯები ფასდება მკაცრად ბიუჯეტის დოკუმენტში განსაზღვრული ინდიკატორების შესაბამისად, ხოლო მითითებული ლიმიტები შეიძლება შეიცვალოს საბიუჯეტო დოკუმენტში ასახული შემოსავლის პროგნოზების შეუსრულებლობის შემთხვევაში. ლიკვიდობის რისკი არის რისკი,რომ კომპანია ვერ ასრულებს თავის ვალდებულებებს ფინანსურ ვალდებულებებთან დაკავშირებით, რომელიც შეიძლება გადაწყდეს ფულის გადარიცხვით ან სხვა ფინანსური აქტივებით. კომპანიის მიდგომის მიზანი ლიკვიდობის მართვაზეა რის საკმარისი ლიკვიდობა გადახდის პერიოდში დაწესებული მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად, როგორც ჩვეულებრივ, ასევე სტრესულ სიტუაციაში და პრობლემის გადაჭრა მიუღებელი ზარალის ან კომპანიის რეპუტაციაზე უარყოფითი გავლენის მოხდენის გარეშე. კომპანია მართვას ლიკვიდობის მოთხოვნებს როგორც მოკლევადიანი, ასევე გრძელვადიანი გეგმების გამოყენებით. ხელმძღვანელობა რეგულარულად აკონტროლებს კომპანიის ფულადი სახსრების პროგნოზებს ყოველთვიურად. თავისი მფლობელების მონაწილეობით კომპანიამ შეიმუშავა წლიური საბიუჯეტოპროცესი. ბიუჯეტი გადაიხედება დირექტორის და მთავარი ბუღალტრის მიერ . ბიუჯეტი განახლდება ყოველთვიურად ფაქტობრივი შედეგების

გათვალისწინებით. კომპანიის მიზანია შეინარჩუნოს ფულის და ფულის ექვივალენტურობის დონე, რომელიც აღემატება მოსალოდნელ ფულადი სახსრების გადინებას ფინანსურ ვალდებულებებზე მომდევნო 60 დღისგანმავლობაში.

ფინანსური დირექტორი

ფინანსური მდგომარეობა	31/12/2023	31/12/2022	31/12/2021
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	48,450.00	26,413.00	6,514.00
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	57,485.00	34,165.00	21,171.00
სხვა პირებზე ავანსებად და სესხებად გაცემული ფულადი სახსრები	-	-	-
მარაგები	51,832.00	51,253.00	37,791.00
მზა პროდუქცია	50,682.00	50,103.00	36,641.00
სხვა	1,150.00	1,150.00	1,150.00
საინვესტიციო ქონება	-	-	-
სხვა მოკლევადიანი აქტივები	59,181.00	114,355.00	14,388.00
ძირითადი საშუალებები	1,441,213.00	741,911.00	1,073,084.00
სულ აქტივები	1,658,161.00	968,097.00	1,152,948.00
ვალდებულებები			
საიჯარო ვალდებულება	-	-	-
სავაჭრო ვალდებულებები	35,901.00	32,570.00	43,036.00
მოკლევადიანი ნასესხები სახსრები	256,265.00	294,972.00	138,630.00
სხვა ვალდებულებები	700,928.00	8,110.00	376,105.00
სულ ვალდებულებები	993,094.00	335,652.00	557,771.00
საკუთარი კაპიტალი			
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)	665,067.00	632,445.00	595,177.00
გადაფასების რეზერვი	-	-	-
საკუთარი კაპიტალის სხვა კომპონენტები	-	-	-
სულ საკუთარი კაპიტალი	665,067.00	632,445.00	595,177.00
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	1,658,161.00	968,097.00	1,152,948.00
სულ მოკლევადიანი აქტივები	157,768.00	144,222.00	65,476.00
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები	51,146.00	335,652.00	60,793.00

საქმიანობის შედეგები	**31/12/2023**	**31/12/2022**
ნეტო ამონაგები	1383368	1252112
საქონლის გაყიდვიდან	0	0
მომსახურების გაწევიდან	1383368	1252112
საერთო მოგება	1383368	1252112
სხვა საოპერაციო შემოსავალი	0	0
დასაქმებულთა ანაზღაურება	-653806	-594395
ცვეთა / ამორტიზაციის ხარჯი	-166500	-136552
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	-472433	-483897
სულ საოპერაციო ხარჯები	-1292739	-1214844
საოპერაციო მოგება	90629	37268
გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა:		
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) უცხოური ვალუტით ვაჭრობიდან და სავალუტო სახსრების გადაფასებიდან	-703	0
მოგება / (ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციებიდან	89926	37268
მოგების გადასახადის ხარჯი	0	0
საანგარიშგებო პერიოდის მოგება / ზარალი	89926	37268
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):		
მთლიანი სრული შემოსავალი / (ზარალი)	89926	37268
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	632445	595177
ახალი აქციების გამოშვება (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალის გაზრდა', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალის გაზრდა')	0	0
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)	0	0
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში	-57304	0
კაპიტალის სხვა ცვლილებები	0	0
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	665067	632445

ფულადი სახსრების მოძრაობა	**31/12/2023**	**31/12/2022**

საოპერაციო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	22037	19899
საინვესტიციო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	0	0
საფინანსო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საფინანსო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	0	0
ფულადი სახსრების შემოსვლა (გასვლა)	22037	19899
ვალუტის კურსის ცვლილების გავლენა ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე	0	0
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	26413	6514
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	48450	26413